საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/56

ქ. ბათუმი 23 აპრილი, 2019 წ

2019-2020 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, საარლანდის უნივერსიტეტის სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა დამატებითი შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული "ერაზმუს +" გაცვლით პროგრამაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 იანვრის 01-02/08 ბრძანებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2019 წლის 22 აპრილის MES 0 19 00460407 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2019-2020 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, **საარლანდის უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე** (ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ველში) სტუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით 2019 წლის აპრილში დამატებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისათვის დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:
   ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);
   ბ)გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);
   გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
   დ) ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
   ე) მარინა ქორიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
   ვ) ქეთევან დევაძე - ფსიქოლოგი (კომისიის მდივანი).
2. კომისიამ მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო საკითხთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 იანვრის 01-02/08 ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს საგრანტო პროექტის მოთხოვნებიდან.
3. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
5. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**